ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

განკარგულება №1024

„8" ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისში, მარაბდის ქ. №29–ის მიმდებარედ, მარაბდის ქ. №29, მცხეთის II შესახვევის №23–ის მიმდებარედ, ზ. ბურკიაშვილის ქ. №23–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.063.027), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის", „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 26 სექტემბრის სხდომის №31 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, მარაბდის ქ. №29–ის მიმდებარედ, მარაბდის ქ. №29, მცხეთის II შესახვევის №23–ის მიმდებარედ, ზ. ბურკიაშვილის ქ. №23–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.063.027), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,1.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი". ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE51LB0125152101628859.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დეტალური ინფორმაცია

ქ.თბილისის მერიის 2014 წლის 8 ოქტომბრის № 1024 განკარგულების შესაბამისად გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმად კ2 განისაზღვრა 4,1 მოსაკრებელის გადახდა გათვალისწინებულია ერთი წლის ვადაში.

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, **ვაკე-საბურთალოს** რაიონში, **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის** მშენებლობისთვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებაზე, მოსაკრებლის განაკვეთის ანგარიშზე

განმარტება:

ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე (მის: **მარაბდის №29**) თბილისის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება №1073943 შესაბამისად დადგინდა განაშენიანების კოეფიციენტი: კ-2 -3,5.

თბილისის მერის 2014 წლის 8 ოქტომბრის № 1024 განკარგულების შესაბამისად გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა **4,1.** მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1კვ.მ-ზე განისაზღვრებოდა **255** ლარით.

ფორმულა:

თანახმად „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის №7-41 გადაწყვეტილებისა, მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით

$$X = \frac{L}{K2}\,(K2' - (K2 + K2_{20\%}))xS$$

სადაც X არის მოსაკრებლის ოდენობა; L არის 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი; K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; K2' არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტი; S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართი. $K2_{20\%}$არის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი მოსაკრებლის შეღავათი.

ვინაიდან განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გადამეტებულ იქნა დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლის 20%-ზე მეტად (ანუ მინიჭებულია ერთ ჯერზე მეტად), ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$X = \frac{L}{K2}\,(K2'' - K2')\,X\,S^{1}$$

---

[1] თუ წინა ჯერზე არ იქნა ათვისებული დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლის 20%, მაშინ ფორმულაში იანგარიშება ასევე 20%-იანი შეღავათი

სადაც K2'' მიწის ნაკვეთისსაბოლოოდ მინიჭებული, ხოლო K2' არის წინა ჯერზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი.

ანგარიში:

$$X = \frac{L}{K2}(K2''\text{-}K2')X S^{1} = \frac{255}{1,5}(4,1\text{-}3,5)x647 = 65994 \text{ ლარი}$$

გადახდის კალენდარული გრაფიკი[2]

გადახდის თარიღები	თანხა
XII თვე	*65994*
ჯამი	*65994*

---------- 3 ნოემბერი 2014

(დამკვეთი) (თარიღი)

[2]არა უმეტეს ერთი წლისა, მაგრამ გადახდის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადას.

ქ. **თბილისის მერის 2014 წლის 17 იანვრის №102 განკარგულების შესაბამისად** გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმად კ2 განისაზღვრა 3,5. მოსაკრებლის გადახდა გათვალისწინებულია ერთი წლის ვადაში.

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, **ვაკე-საბურთალოს** რაიონში, **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის** მშენებლობისთვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებაზე, მოსაკრებლის განაკვეთის ანგარიშზე

განმარტება:

ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე (მის: **მარაბდის №29**) თბილისის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება #1020895 შესაბამისად დადგინდა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2 - **1,5.**

თბილისის მერის 2014 წლის 17 იანვრის №102 განკარგულების შესაბამისად გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა **3,5.** მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1კვ.მ-ზე განისაზღვრებოდა **255** ლარით.

ფორმულა:

თანახმად „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის №7-41 გადაწყვეტილებისა, მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით

$$X = \frac{L}{K2}(K2' - (K2 + K2_{20\%}))xS$$

სადაც X არის მოსაკრებლის ოდენობა; L არის 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი; K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; K2' არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტი; S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართი. $K2_{20\%}$არის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი მოსაკრებლის შეღავათი.

ვინაიდან განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გადამეტებულ იქნა დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლის 20%-ზე მეტად (ანუ მინიჭებულია ერთ ჯერზე მეტად), ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$X = \frac{L}{K2}(K2'' - K2')XS^{1}$$

---

[1] თუ წინა ჯერზე არ იქნა ათვისებული დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლის 20%, მაშინ ფორმულაში იანგარიშება ასევე 20%-იანი შეღავათი

სადაც K2'' მიწის ნაკვეთისსაბოლოოდ მინიჭებული, ხოლო K2' არის წინა ჯერზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი.

ანგარიში:

$$X = \frac{L}{K2}(K2' - (K2+K2_{20\%}))xS = \frac{255}{1,5}(3,5-1,8)x647 = 186983 \text{ ლარი}$$

გადახდის კალენდარული გრაფიკი[2]

გადახდის თარიღები	თანხა
XII თვე	*186983*
ჯამი	*186983*

ქალაქ მთავარი

(დამკვეთი)

13 თებერვალი, 2014

(თარიღი)

[2]არა უმეტეს ერთი წლისა, მაგრამ გადახდის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადას.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140126823
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.02.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**შორენა ხაინდრავა**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2725342
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	43988591609514

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას თოთხმეტი წლის ცამეტ თებერვალს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18,** მომმართა **მაია მოსიაშვილმა,** რომელმაც წარმოადგინა განმარტებითი ბარათი და მოითხოვა მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **მაია მოსიაშვილმა** (დაბ. 30.08.1984წ, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, სახალხოს №23, პირადი №01014004596) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, ასევე განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს სამართლებრივ შედეგებზე. ამის შემდეგ **მაია მოსიაშვილმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 1 ეგზემპლარზე შესრულებული 1 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 2 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.3-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მ.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 4 ლარი.

ნოტარიუსი ---------- /შორენა ხაინდრავა/

საქართველო GEORGIA ნოტარიუსი შორენა ხაინდრავა NOTARY SHORENA KHAINDRAVA ნოტარიუს შორენა ხაინდრავა 62007003063



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

02898002201514

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140126798

რეგისტრაციის თარიღი

13.02.2014 წ

ნოტარიუსი: შორენა ხაინდრავა

მისამართი: ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18

ტელეფონი: 2725342

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის ცამეტ თებერვალს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18,** პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **შპს "ჯორჯთაუნ"-ის** დირექტორი **ოლღა ბერაძე** (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის №B13109883, ს/კ 405017440, ამონაწერის მომზადების თარიღია 08/11/2013), რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება **ბაკურიანში** და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გასცეს მინდობილობა და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სსგს სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით. სანოტარო მოქმედებას ესწრებოდნენ **ნინო ოდიშვილი** (დაბ. 20.10.1985წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, დ/დიღომი მე-3 მ/რ №5 ბ.82, პირადი №01025015836), როგორც მოწმე და **მარიამ ხოხობაია** (დაბ. 19.08.1989წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი №35 ბ.9, პირადი №42001029726), როგორც **ოლღა ბერაძის** ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი), რომელთაც ასევე დამიდასტურეს, რომ ონლაინ რეჟიმით დაკავშირებული პიროვნება ნამდვილად არის **ოლღა ბერაძე** (დაბ. 27.06.1980წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ქავთარაძის ქ. №25 კორ.3 ბ.26, პირადი №01019006365). **ნინო ოდიშვილის** პირადობა დავადგინე სსიპ სსგს სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ხოლო **მარიამ ხოხობაიას** პირადობა დავადგინე მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. მოწმე და ხელმომწერი პირი არიან სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირები, იციან წერა-კითხვა ქართულ ენაზე და მათივე განცხადებით არა აქვთ შეზღუდული სამოქალაქო ქმედუნარიანობა და არ იღებენ სარგებელს ამ სანოტარო მოქმედებით. **ოლღა ბერაძის** და **ნინო ოდიშვილის** განცხადებით, ისინი არ არიან ერთმანეთის ნათესავები აღმავალი და დამავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით. მოწმე გაფრთხილებულია და ადასტურებს, რომ არ არსებობს მისთვის მოწმეობის გამომრიცხავი გარემოება, მოწმე და ხელმომწერი პირი დაესწრნენ წინამდებარე მინდობილობის დამოწმების სრულ პროცესს. ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც **ოლღა ბერაძემ** ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს "ჯორჯთაუნ"-ის** დირექტორი **ოლღა ბერაძე** (დაბ. 27.06.1980წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ქავთარაძის ქ. №25 კორ.3 ბ.26, პირადი №01019006365), რომელიც ამჟამად ვიმყოფები ბაკურიანში, ვანიჭებ **მაია მოსიაშვილს** (დაბ. 30.08.1984წ, პირადი №01014004596) უფლებამოსილებას, იყოს ჩემი, როგორც შპს "ჯორჯთაუნ"-ის დირექტორის წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ დაწესებულებაში, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში, სანოტარო ბიუროში, ჩემი სახელით ხელი მოაწეროს ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით ქ. თბილისის მერიის 17.01.2014 წლის №102 განკარგულების შესაბამისად გაცემულ კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გაანგარიშების განმარტებით ბარათს, ჩემი სახელით შეიტანოს და/ან მიიღოს ნებისმიერი საჭირო ცნობა და/ან დოკუმენტი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იქნება საჭირო.

მინდობილობა გაცემულია ერთი თვის ვადით და ძალაშია 2014 წლის ცამეტი თებერვლის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა **შორენა ხაინდრავამ,** რომელიც პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე **ოლღა ბერაძეს.** მან დამიდასტურა, რომ ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემისას იგი არ იმყოფება ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად ხელის მოწერის უფლებას ანდობს **მარიამ ხოხობაიას.**

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო სამი ეგზემპლიარი გადაეცა **მაია მოსიაშვილს.**

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 50 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მუხლი 32-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 52 ლარი.

ოლღა ბერაძის ნაცვლად მისივე თხოვნით
ხელს აწერს
მარიამ ხოხობაია მარიამ ხოხობაია

მოწმე
ნინო ოდიშვილი ნინო ოდიშვილი

ნოტარიუსი _____ /შორენა ხაინდრავა/

საქართველო * GEORGIA * ნოტარიუსი შორენა ხაინდრავა * NOTARY SHORENA KHAINDRAVA